რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### საზოგადო კრება თფილისის თავად-აზნაურთა

#### მარშლების ამორჩევა

10 მაისს

ათი მაისისთვის იყო დანიშნული ქალაქში კენჭის-ყრა მარშლებისათვის.

დანიშნულს დროს სამოც-და-ხუთიოდ კაცმა ძლივს მოიყარა თავი.

პირველ დღეს არაფერი საინტერესო და ყურადღების ღირსი ამბავი არ მომხდარა. წესისამებრ, თავად-აზნაურობამ ფიცი მიიღო სიონის სობოროში.

შემდეგ თფილისისა და გორის უეზდის წინადადებით, მცირე მოლაპარაკება ატყდა იმაზედ, რომ დიდ მთავართან კავკასიის ნამესტნიკთან იშუამდგომლოს საზოგადო კრებამ პრიკაზის ვალის შემსუბუქებაზედაო, და ამას გარდა გორისავე უეზდმა შემოიტანა წინადადება „საურთიერთო კრედიტის (ნდობის) საზოგადოების (ბანკის)“ გახსნის თაობაზე, რომელშიაც თავად-აზნაურობამ მიიღოს მონაწილეობა (ფულით), როგორც დამფუძნებელმაო.

ამ მეორე საგნის შესახებ კრებამ გადაწყვიტა, რომ რადგან ეს საქმე იმ კრებას უფრო ეკუთვნის, რომელიც ბანკის თაობაზე იქნება ამ თვის 17-საო, ამის გამო იმას გადაეცეს განსახილველად, ზედამხედველი კომიტეტის საშუალებითაო.

რაც შეეხება პრიკაზის ვალის შემსუბუქებას, ამის თაობაზე უფრო საინტერესო ბაასი მეორე დღეს, 11 მაისს, ატყდა და ამის გამო პირ-და-პირ ამ მეორე სხდომის აწერას შევუდგებით.

11 მაისს

კრებაში სულ სამოც-და-შვიდი კაცია.

ღენერლები თითქმის კრების უმრავლესობას შეადგენენ; ბევრი სერთუკიანები; ჩოხიანებს, კაბიანებს ოციოდ კაცს თუ ნახავთ ისიც ბევრია.

აქ-იქ მშვიდობიანი, აუშფოთებელი მასლაათი ისმის, მაგრამ იმ საგნებზე კი არა, რომლისთვისაც დღეს ესენი შეკრებილან. ტახტზე, წლევანდელ მოსავალზე და შარშანდელ თოვლზე მასლაათობენ.

რუსული სიტყვა-პასუხი, ან უკეთა ვსთქვათ — რუსულ-ქართული, ერთმანეთში არეული, უფრო ხშირად ისმის, ვიდრე წმინდა ქართული.

ათს საათზე შემოდის გუბერნიის წინამძღოლი თ. რ. ი. ანდრონიკოვი და თავად-აზნაურობა ნელ-ნელა, ზოზმანით ლაგდება თავ-თავის ალაგას.

სხდომის გახსნის ნიშნად, თავსმჯდომარე ზარს უწკარუნებს. მაგრამ რა საჭიროა ზარის რაწკუნი? შიმისოთაც ისეთი მყუდროება და სიჩუმეა, რომ ბუზის გაფრენას ყრუც კი გაიგონებს.

სეკრეტარი მეკენჭეთა სიას ჰკითხულობს. თითოეულ გვარის ამოკითხვაზე კულუმბურიით გადაავლებს ის თვალს კრებასა და, როცა ნახავს, რომ ვინმე არ არის ზალაში, იმის გვარის პირ-და-პირ ჯვარს დაუსვამს. ბევრი ჯვარის დასმა დასჭირდა....

შემდეგ დეპუტატი ბედევანოვი წაიკითხავს პროტოკოლს პრიკაზის ვალის შესახებ.

მრცხვენიან ამ პროტოკოლის შინაარსის მოყვანა....

კარგი კიდევ, რომ, როგორც ამბობენ, ხელ-ახლად ამ თხოვნის აღძრვა „ამორჩეულითი მანეური“ იყოო, ზოგიერთი პირების მხრით, და არა საზოგადო სურვილი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა....

თავის თხოვნაში თავად-აზნაურობა აცხადებდა, სხვათა შორის, რომ ბატონ-ყმობამდი ჩვენ მუქთი მშრომელნი გვყავდნენ ჩვენდა სარჩენად და იოლად გამოვდიოდითო, გაჭირვებაში არ ვიყავითო. მაგრამ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა სრულიად შეიცვალაო. ჩამოგვართვეს ყმები, მოგვესპო მუქთი მშრომელი, მუშები გაძვირდნენ. დაგვედვა ვალები, და რადგან იმდენი ღონის-ძიება აღარა გვაქვს, რომ თავის დროზე გადახდა შეგვძლებოდა, ამ ვალში გვეყიდება მამულები, ჩვენ კი ვიღუპებით, ვღატაკდებით, უმიწაწყლოთ ვრჩებითო.

ამ მიზეზების გამო, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ სთხოვოს დიდს მთავარს კავკასიის ნამესტნიკსო, რომ იმან გვიშუამდგომლოს და ხაზინამ, ოც-და-ათი წლის განმავლობაში, არ გადაგვახდევინოს პრიკაზის ვალი; შემდეგ კი გადვიხდით უპროცენტოთ; და მინამ ამ ვალის გირაოთ ისევ ჩვენი მამულები დარჩებაო.

ამ პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ, თავს-მჯდომარემ მიმართა კრებას კითხვით:

— ვის ჰსურს პროტოკოლის შესახებ სიტყვის თქმა?

კაცი ხმას არ იღებს; თითქო ყველას მუცელში ჩავარდნიათ ენაო.

კარგი ბედი, რომ თ. გიორგი ანდრონიკოვს ლაპარაკი არ ეხარება, თორემ ეს — მეტი რომ არა ვსთქვათ — შეუსაბამო პროტოკოლი და თხოვნა ერთხმად მიღებული იქნებოდა კრებისაგან.

გ. ანდრონიკოვმა სთქვა, რომ რადგან კრებას ასე გადაწყვეტა ამ საგნისა არ შეუძლიან, კარგი იქნებაო, რომ კომისია ამოვირჩიოთ და იმას მივანდოთო.

ამის შემდეგ ილაპარაკა თ. გრ. დ. ორბელიანმა. ძალიან ვწუხვართ, რომ სტენოგრაფიულად ვერ მოვგყავს ამის მშვენიერი, გრძნობითა და გონიერებით სავსე სიტყვა.

## ფელეტონი

### ქუთაისის საზოგადო კრება

#### მეოთხე სხდომა

25 აპრილს

— კენჭი, კენჭი მოგვეცით! ძირს, ძირს სცენიდამო! ყვირის საზოგადოება, როგორც კი ამ დღეს დილის 9 საათზე შეიკრიბა. ძლივს მოასწრეს წარსული სხდომის პროტოკოლის წაკითხვა.

თავს-მჯდომარემ სთხოვა საზოგადოებას — დაასახელოს თავის კანდიდატები დირექტორის თანამდებობისათვის.

საზოგადოების მოთხოვნილებით ჩაწერილ იქმნენ: დიმ. ელიზ. დადიანი, ნიკ. ტარ. დადიანი, ბეს. ჯაფარიძე, დავ. გრ. ერისთავი, კირ. ბ. ქ. ლორთქიფანიძე, პეტ. ნაკაშიძე და ნესტ. ერისთავი. ამათ გარდა თვითონ ჩააწერინეს თავის თავი: თომა ერისთავმა, მამია გურიელმა, თად. ბებურიშვილმა და პლატ. ჩხეიძემ.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა დავ. ალექს. მიქელაძეს სთხოვეს ამ კანდიდატთ სიაში ჩაეწერა თავი და კენჭი ეყარა დირექტორობაზე, მაგრამ ამან გამოაცხადა, რომ

„თუმცა იმდენათ არ დავიმდაბლებ თავს, რომ ზოგიერთ ჩაწერილ პირებზე რასმიმე უარესად და ნაკლებად მიმაჩნდეს ჩემი თავი, მაგრამ უნდა გავტყდე, რომ ბანკისთვის მე მომზადებული არა ვარ და სხვებსავით თამამად ვერ გავბედავ, ვიკისრო ეს მძიმე თანამდებობა. ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ კენჭის-ყრისაგან განმათავისუფლოთ.“

საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო ეს სიტყვები; კანდიდატებს კი ცოტა არ იყოს არ იამათ.

ამნაირად შესდგა 13 კაცის სია, რომელთაც ყველას გულითა და სულით ჰსურდა დირექტორობა, კირილე ლორთქიფანიძეს გარდა, რომელმანც თავიდამვე გამოაცხადა, რომ მე არა მსურს კენჭის ყრა და გთხოვთ განმათავისუფლოთო.

ყველასთვის კენჭის-ყრა ულმერთობა იქნებოდა; თითო კაცის კენჭის ყრას კრება თითო დღეს უნდებოდა და ორი დირექტორის ამოსარჩევად მაშასადამე 13 დღე მოუნდებოდა. ამის გამო კეთილ-გონიერად მოიქცნენ: თადეოზ ბებურიშვილი, თომა ერისთავი და პლატონ ჩხეიძე, რომელთაც თავიდამვე უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე. დარჩა შვიდი კანდიდატი.

პირველად დიმ. დადიანისთვის ან ნიკ. დადიანისთვის უნდა ეყარათ კენჭი.

ამ ორი კანდიდატის თაობაზე მეგრელებში თავიდამვე უთანხმოება მოხდა: ერთ ნაწილს ერთი უნდოდა, მეორეს მეორე. ყოველი მხრით სჩანდა, რომ დ. დადიანს უფრო მომეტებული მომხრეები ჰყავნდა, არა თუ მარტო მეგრელებში, იმერეთშიაც. დიდხანს ჰქონდათ ეზოში ამაზე მოლაპარაკება და ბაასი. ლ. ლოლუა და სხვები სრულის სიმართლით ურჩევდნენ თავიანთებს, რომ თუ ამ ორი კაცის არჩევის თაობაზე ჩვენ შორის უთანხმოების ატეხა მოგველისო, ისა სჯობიან, რომ არც ერთი არ ამოვირჩიოთ და გავათეთროთ ის კაცი, რომელსაც იმერლები წარმოგვიდგენენო. დიმ. დადიანის მომხრენი დათანხმდნენ ამ ჰაზრზე.. მაგრამ ნიკ. დადიანი არაფრის გზით არ დაჰყვა თხოვნას, რომ არც იმას ეყარა კენჭი. თავის უარის საფუძვლად იმას ის მოსაზრება მოჰყავდა, რომ ჩემი უარის თქმით მეგრელებში განხეთქილება მაინც არ მოისპობაო.

ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ნ. დადიანი ლოლაბერიძეებისაგან იყო დარიგებული, რომ არამც-და-არამც უარი არა სთქვა კენჭის ყრაზედაო, ჩვენ ისე მოვახერხებთო, რომ კონკურენტი არავინ გყავდეს მეგრელებშიო.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ლოლაბერიძეებმა დაარწმუნეს დ. დადიანის ძმა, რომ გამოეცხადებინა, რომ იმას თავის ძმისაგან ამბავი მოუვიდა, რომ იმას სრულიად არა ჰსურს კენჭის ყრა დირექტორობაზე. ამის შემდეგ მეგრელებს მხოლოთ ერთიღა კანდიდატი დარჩათ, რადგან ლოლუამ, რომელსაც ერთხმათ სთხოვეს კენჭის ყრა, თავიდამვე უარი სთქვა.

ამნაირად ნიკ. დადიანს პირველად უყარეს კენჭი. ყველა მეგრელებმა

უმთავრესი ჰაზრი თ. გრ. ორბელიანის სიტყვისა ის იყო, რომ

„ამ თხოვნიდამ არაფერი არ გამოვაო, ეს, მგონი, მესამედ არის პრიკაზის ვალის პატიებას ხან სარგებლის შემცირებას ვსთხოვთ მმართებლობასაო და ყოველთვის ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ დარჩაო, და ახლა კი რა იმედით, რა საფუძვლით უნდა ვითხოვოთო. ამას წინათ ვთხოვეთ, რომ ამ ვალში 4% მეტი არ გადაეხდევინებინა ხაზინას, არ შეიწყნარეს ჩვენი თხოვნა და ახლა გინდათ, რომ სულ უპროცენტოთ დაგითმონ ვალი, ისიც 30 წლის განმავლობაში!

„ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას ორ მილიონამდი მმართებს პრიკაზისა. რა საფუძვლით თხოულობთ, რომ მთავრობამ, ოც-და-ათი წლის განმავლობაში, არ გადაგახდევინოს ეს ფული და მაშინაც უსარგებლოთ? ეს ხომ თითქმის შვიდ-რვა მილიონს შეადგენს! თუ მათხოვრები ვართ, ბარემ ვსთქვათ.

„ნუ ვიქთ ამას,—ნუ შევირცხვენთ თავს: მმართებლობა, უეჭველია, უარს გვეტყვის და ეს უარის თქმა ჩვენთვისაც სირცხვილი იქნება და თვითონ მმართებლობასაც შეაწუხებს.“

თ. ივ. ორბელიანმა თავადის გრიგორისაგან თქმულს დაუმატა, რომ კარგი იქნებაო, რომ შევიტყობდეთ—რა ბოლო მიეცა ჩვენს თხოვნასო, რომ თავად-აზნაურობას ვალი და გირაო პრიკაზისა ჩვენს სათავად-აზნაურო ბანკში გადმოიტანათო.

(ვილამაც დაიძახა, მთავარ სამმართველოში ქაღალდი არის მოსული ფინანსთ მინისტრისაგან, რომლითაც ამ თხოვნაზე უარს გვიცხადებენო.)

თ. დავ. სუმბათოვმა (ქალაქის უეზდის მარშალმა) სთქვა, რომ ეს წინადადება მე შემოვიტანე მართალიაო, მაგრამ უეზდმა მიმანდო და უფლება არ მქონდა არ შემომეტანაო.“ ესეც კომისიის დანიშნვას თხოულობს.

თ. გრ. ორბელიანი ამბობს, რომ არც კომისიისაგან გამოვა რამე, კომისია რას გაარიგებს, როცა წინათვე ვიცით, რომ მთავრობა უარს გვეტყვის!

„მთელი რუსეთის თავად-აზნაურობა იმგვარსავე გაჭირებაში არის, როგორიც ჩვენ; შინ რომ მდიდრულად ვერ უცხოვრიათ, სამზღვარ გარეთ მიდიან, იქ უფრო იაფად ღირს ცხოვრებაო. ერთი მითხარით, ყველას როგორ გაუვა ხაზინა?

„ბატონ-ყმობის მოსპობამ დაგვღუპაო. ეს მართალი არ არის: ჯერ ბატონ-ყმობა სად იყო მოსპობილი, რომ ჩვენ ვალები გვქონდა და გაჭირებაში ვიყავით! ბატონ-ყმობის მოსპობა კიარა, თვითონ ჩვენა ვართ, ბატონებო, ამაში დამნაშავე. აი მოგახსენებთ.—რა ენთო მამა ჩემს? ქონის სანთელი.—ტანთ რას იცვამდა მამა ჩემი? უბრალო ლეკურ შალს. სულ ყველაფერი იაფი და უბრალო იცოდნენ მამა ჩვენებმა. ჩვენ-კი? თქვენც კარგათ იცით, თითოეულ ახლანდელ თავად-აზნაურს რამდენად უჯდება ცხოვრება.

„კიდევ ვიმეორებ, რომ ნუ შევირცხვენთ თავს, ნუ ვათქმევინებთ მთავრობას უარსა....“

კრებამ არ გაიგონა ეს გონიერი, გრძნობით ნათქვამი სიტყვები და მაინც-და-მაინც დანიშნა კომისია, რომელსაც ამ საგნის განხილვა მიანდო. კომისიას შეადგენენ: ყველა უეზდის მარშლები და ამათ გარდა: თ. დ. ჯორჯაძე, კოსტ. მამაცოვი, თ. ილია ჭავჭავაძე, თ. დ. გ. ერისთავი და ნ. ზ. აქიმოვი. ჯერ თ. რ. ი. ანდრონიკოვმა უნდა გაიგოს დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ჰაზრი ამ საქმის შესახებ და მერე კომისიამ წარადგინოს, თუ შესაძლო იქნება, თავად-აზნაურთა თხოვნა.

შემდეგ იყო კენჭის ყრა უეზდის მარშლებისა. ამოარჩიეს ისევ ყველა ძველი მარშლები:

ქალაქის უეზდში—თ. დ. სუმბათოვი
გორის — — თ. ალ. ერისთავი
სიღნაღის — თ. ზაქ. ანდრონიკოვი
თელავის — თ. რევ. ვახვახოვი
და დუშეთის—თ. დავ. ლ. ერისთავი.

სეკრეტარი, დეპუტატები და პრიკაზის დირექტორი აგრეთვე ძველები იქნენ ამორჩეულნი.

შემდეგ კრებამ გუბერნიის წინამძღოლელს უყარა კენჭი და თითქმის ერთხმად ამოარჩიეს: 67 კენჭში, 65 თეთრი ამოუვიდა და მხოლოთ 2 შავი.

ყველა ეს ამორჩევები ორი საათისა და ნახევრის განმავლობაში გათავდა. არცერთ კანდიდატს მოქიშპე, კონკურენტი არა ჰყოლია, ასე გასინჯეთ, არც სეკრეტარს, რომელსაც წელიწადში ასი თუმანი ფული ეძლევა ჯამაგირი, და პრიკაზის დირექტორს, რომელსაც ოთხმოცდაათი თუმანი აქვს ჯამაგირი! სადა ხართ, იმერლებო?!

ამ ნაირად გათავდა ჩვენს ქალაქში მარშლების კენჭის ყრა. ერთი ამაღლებული ხმა, ერთი გაცხარებული ლაპარაკი კაცს არ გაუგონია. წყნარად, მოქნარებით, თითქმის ძალდატანებით მიდიოდნენ კრებაში, ჰკიდებდნენ კენჭს ხელსა და აგდებდნენ „თეთრში.“

ღმერთო ჩემო, ერთი გაცხარებული სიტყვა გამაგონეთ! ერთი ისეთი კაცი მიჩვენეთ, რომელსაც ეტყობოდეს, რომ ის გულ-მხურვალეთ ეკიდება საქმეს, რომ იმისთვის სულ ერთი არ არის—ივანე იქნება იმის წინამძღომელი და წარმომადგენელი, თუ ვახუშტი! სიცოცხლე რომ ეტყობოდეს, იმისთანა კაცი მიჩვენეთ, იმისთანა სიტყვა გამაგონეთ!

არ მომწონს ერთობ გარდამეტებული გაცხარება, განსაკუთრებით უსაფუძვლო გაცხარება, გაბრაზებული სიტყვები და შხამიანობა. არ მომწონს.... მაგრამ რა ვქნა, კიდევ ეს გარდამეტებული გაცხარება და ბრაზი მირჩევნია, ვინემ უსიცოცხლო სიცოცხლე, ძილი, მთქნარება და უგულოთ, უგრძნობოთ საზოგადო საქმის ხელის მოკიდება!...

უკენჭი

---

## დღიური

ამ ჟამად ჩვენს ქალაქში, ბანკის თაობაზე, კრება არის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა. დაწვრილებით ანგარიშს სხდომებისას, იმედი გვაქვს შემდეგ წარუდგენთ ჩვენს მკითხველებსა. ახლა კი მოკლეთ მოვიყვანთ მხოლოთ იმას, რაც ამ ორ დღეში—გუშინ და გუშინწინ—გადაწყდა.

მეკენჭეთა სიის წაკითხვამ აღძრა ყველაზე პირველად ბაასი გასულს ორშაბათს:

— აქვთ ხმა იმ პირთ, რომელთაც 1872 წლის 29 ნოემბრის პროტოკოლის დადგენილ ვადის შემდეგ შემოიტანეს ფული, თუ არაო?

ამ საგანზე ხანგრძლივი ბაასი ატყდა.

ზედამხედველი კომიტეტის ჰაზრი იყო, რომ, თუმცა იმათ ვერ შეასრულეს ერთხელ დადგენილი წესი, მაგრამ მაინც მიეცესთ ხმაო.

კრების მომეტებული ნაწილიც ამ ჰაზრის იყო. მაგრამ რადგან, წესდების ძალით, საზოგადო კრებაზე რომლისამე კითხვის გადასაწყვეტად ორი-მესამედი ხმის უმეტესობაა საჭირო, ამის გამო ეს საგანი შეუცვლელად დარჩა, ე. ი. იმ პირთ, რო-

---

და ბევრ იმერლებმაც ამას თეთრი ჩაუგდეს, რადგან წინათვე გადაწყვეტილი იყო, რომ მეგრელებს, უეჭველად, ერთი დირექტორი ჰყოლოდა ბანკში. კენჭების დათვლისაგან აღმოჩნდა, რომ თ. ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი ამორჩეულ იქმნა დირექტორად—790 თეთრის კენჭით; შავი კენჭი ამოუვიდა—122.

რადგან ჩვეულებად შემოიღეს, რომ ყველა ახლად-ამორჩეულებს საზოგადოებისთვის სიტყვა ეთქვათ, თ. ნიკ. დადიანმაც სთქვა დაახლოებით შემდეგი: „ვმადლობ საზოგადოებას იმ პატივის-ცემისა და ნდობისათვის, რომელიც ამ არჩევით გამომიცხადა. ბევრი ლაპარაკისა და დაპირების დრო არ არის აქ; მხოლოთ ერთს ვიტყვი: მე ჩემს თავს, გონებას და სხეულს დავსდებ ამ საქმისათვის.“

მ ე ხ უ თ ე ს ხ დ ო მ ა

26 აპრილს

ისევ ყვირილით გაიხსნა ეს სხდომაც, როგორც წინანდელი.

— კენჭი! კენჭი! ძირს!

პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ, უფ. მ. დარახველიძემ (ღოღობერიძეთ პარტიის მყვირალმა კაცმა—ეს კარგათ დაიხსომეთ) სთხოვა თავს-მჯდომარეს, რომ სიტყვა არავისთვის მიეცა, არავისთვის მიეცა ლაპარაკის ნება; უიმისოთაც დიდ ხანს უნდებით ამ ამორჩევებსო, შეწუხდა შორიდამ მოსული თავად-აზნაურობაო. კენკი ვყაროთ, კენჭი გაგვასწორებსო.

ნ. დადიანის შემდეგ, პირველად მამია გურიელი იყო ჩაწერილი დირექტორების კანდიდატთ სიაში.

კრებაში ამბობდნენ, რომ ღოღობერიძეები მამია გურიელს ჰპირდებოდნენ დახმარებას, თუ გურულები ღოღობერიძის ამორჩევაში მოეხმარებიანო. ამნაირად მ. გურიელი ღოღობერიძეების კანდიდატათ ითვლებოდა. ეს, სხვათა შორის, იქიდამაც ჩნდა, რომ მ. გურიელი ღოღობერიძეების მოწინაალმდეგებს თავის მოწინაალმდეგებად სთვლიდა.

მაგრამ ბოლოს დამტკიცდა, რომ მ. გურიელი შეცდა თავის ანგარიშში. ღოღობერიძეებმა, ხელის გამართვის მაგიერ, მამია გურიელის წინაალმდეგ წამოაყენეს თ. დავით ერისთავი, რომლის გაშავება შეუძლებელი იყო.

ამ ოინმა გააშავა მამია გურიელი: 464 შავი კენჭი მიარტყეს და 346 თეთრი. მეგრელებმა „უჩა—კოჩი“ დაარქვეს იმას.

ამავე დღეს მეორე კანდიდატს თ. დ. ერისთავს უყარეს კენჭი და ყველა დარწმუნებული იყო თავიდამვე, რომ იმას გაათეთრებდნენ.

— არ ენებებინა, ბატონო, კნიაზ დავითს კენჭის ყრა, კარგი იქნებოდა; მაგრამ რადგან ინება, რა გაეწყობა: შავს ვერ ჩაუგდებთ, ამბობდნენ იმერლები;—უტყუ მაგას, პარტენი, ეუბნებოდნენ ერთმანეთს მეგრელები.

მართლაც გათეთრდა: 604 თეთრი კენჭი მიიღო და მხოლოთ—164 შავი.

ჩვეულებისამებრ, ამანაც სიტყვა უთხრა საზოგადოებას: ვეცდები დაგიმტკიცოთო, რომ თქვენ არ შესცდით ჩემს ამორჩევაშიო და სხვ.

დანარჩენ ყველა ხუთ კანდიდატმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე, რომლისთვისაც საზოგადოებამ მადლობა შესწირა. მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ეს უარის თქმა თითქმის ძალდატანებული უარის თქმა იყო, რადგან საზოგადოებამ დაიწყო ყვირილი: „ნუ გვაყრევინებთ კენჭს, თორემ გაგაშავებთ, გაგაშავებთო!“

მ ე ე ქ ვ ს ე ს ხ დ ო მ ა

27 აპრილს

წყნარი, მშვიდობიანი სხდომა. ჯამაგირიანს, საპატიო თანამდებობაზე დღეს კენჭის ყრა არ არის: სამი კანდიდატი უნდა ამოურჩიონ ბანკის გამგეობას.

კანდიდატებად მხოლოთ სამი კაცი იყო წარმოდგენილი: ნესტორ ერისთავი, დავით ლორთქიფანიძე და დავ. ბეჟ. ჩხეიძე. მოქიშპე და მოცილე არავის ჰყავდა ამ თანამდებობაზე, ამიტომ სამივე დაუბრკოლებლივ ამოარჩიეს.

ნესტორ ე რ ი ს თ ა ვ მ ა მიიღო 599 თეთრი კენჭი და 10 შავი, დავით ჩხეიძემ—583 თეთრი და 24 შავი და დავით ლორთქიფანიძემ—558 თეთრი კენჭი და 54 შავი.

მეკენჭე

მელთაც დანიშნულ ვადამდი ფული არ ჰქონდათ შემოტანილი, ხმის უფლება წაერთვათ.

შემდეგ ზედამხედველ კომიტეტის საქმის წარმოებელმა წარმოუდგინა კრებას ბანკის ანგარიში.

გუშინდელ სხდომაზე კრებამ დაამტკიცა რამდენიმე წარდგინება ზედამხედველის კომიტეტის და ბანკის გამგეობისა; სხვათაშორის, კრებამ ზედამხედველ კომიტეტსა და ტფილისის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა კომიტეტს მიანდო ის 6,000 მანეთი, რომელიც ბანკს მოგება დარჩენია, იმ პირობით, რომ ამ ფულით ტფილისის გუბერნიის თითოეულ უეზდში პატარ-პატარა ბანკები გამართოს.

ამას გარდა, ზედამხედველისავე კომიტეტის წინადადებით, კრებამ მიიღო შემდეგი ცვლილება:

ა) ბანკის გამგეობას მიეცეს უფლება, რომ მთელი სათავნო ფულის გირაოს ფურცლები გამოსცეს, ე. ი. სულ 260 ათასი მანეთისა და არა მარტო 160 ათასისა, როგორც ეხლა არის.

ბ). დამფასებლების თანამდებობაზე ყოველმა უეზდმა სამი კანდიდატი უნდა წარმოადგინოს, რომელთაგან ამოარჩევა მხოლოთ ზედამხედველ კომიტეტს ექნება მინდობილი.

გ). ბანკის გამგეობის წევრნი (ე. ი. ბანკის თავს-მჯდომარე და ორი დირექტორი) ამოირჩევიან სამის წლის ვადით; სამის წლის შემდეგ ერთი დირექტორი გამოდის, მეოთხე წელიწადს მეორე და მეხუთე წელიწადს თვითონ თავს-მჯდომარეც ბანკისა. კრებას შეუძლიან ისევ ეს პირები ხელმეორეთ ამოარჩიოს.

დ). ბანკის თაობაზე ყოველ წელიწადს უნდა იყოს კრება არა უგვიანეს 1 მაისისა, და ეს კრება მართლების ამორჩევის დროს არ უნდა მოხდეს.

ე). ამ კრების თავს-მჯდომარე თვითონ კრებამ უნდა ამოირჩიოს თავის შორის.

ვ). კრებაზე რომელიმე საგნის გადასაწყვეტად, საკმაოა მხოლოთ უბრალო უმრავლესობა კენჭისა და არა ორი-მესამედი, როგორც ახლა თხოულობს წესდება. (ეს არ შეეხება იმ შემთხვევას, როცა საქმე წესდების შეცვლაზე მივარდება).

ზ). უარი უთხრეს სახაზინო პალატას, რომელიც, ჩვენი ბანკის ფულების შენახვისათვის, იმ 250 მანეთს გარდა, რომელიც იმას ზედამხედველ კომიტეტმა მისცა, კიდევ 350 მანეთს თხოულობდა ჩინოვნიკების ჯილდოთ.

თ). კრებამ დაამტკიცა მომავალი წლის სმეტა ბანკის გამგეობისა და დამფასებელი კომისიისა. ამ სმეტით ბანკის თავს-მჯდომარეს ეძლევა წელიწადში—3,000 მან., თითო დირექტორს—2,000 მან., ზედამხედველი კომიტეტის საქმის-მწარმოებელს 700, სახლისთვის, მწერლებისთვის და კანცელარიისთვის—3,500, ბუხგალტერის, სეკრეტრის, კასსირის და სხვ.—2,000, თითოეულ დამფასებელს—800 მან. ამას გარდა ბანკის გამგეობას სხვა და სხვა მოულოდნელი და შემთხვევითი ხარჯისათვის 1500 მანეთი, სულ 18,700 მანეთი (შარშანდელის სმეტით ამ საგანზე 17,000 მან. იყო დანიშნული).

დღეს დილით კრებაში იქნება ამორჩევა ზედამხედველი კომიტეტის წევრებისა, ბანკის თავსმჯდომარის, ორი დირექტორის, იმათი ორი კანდიდატისა და აგრეთვე დამფასებლების და იმითი კანდიდატებისა.

— დღეს დილით კრებამ ამოირჩია: ბანკის თავსმჯდომარედ თ. ი. გ. ჭავჭავაძე, რომელსაც მოუვიდა—131 თეთრი კენჭი და 17 შავი, დირექტორებად: თ. დ. ყაველიშვილი—150 თეთრი და 5 შავი და ა. ზ. ჩოლოყაშვილი—139 თეთრი კენჭი და 17 შავი.

ამათ კანდიდატებად ამოირჩიეს: თ. ლ. მაღალაშვილი და თ. ალ. სუმბათოვი.

* * *

ახალციხიდამ გვწერენ, რომ ოსმალოსმთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ ნურც გაზეთ „დროებას“ და ნურც სხვა რამ ქართულ წიგნებს ჩვენს სამზღვარზე ნუ გამოუშვებთო.

* * *

სურამის მომრიგებელ მოსამართლეს უ. სალაცკისათვის სამს შექეიფებულ კაცს ამას წინათ დიდი შეურაცხყოფა მიუყენებიათ: როგორც ჩვენ გვატყობინებენ, ეს მოსამართლე დამთვრალხალხთან მისულა და რაღაც ჩხუბი აუტეხია; ამათ მოუვლიათ ხელი და ბევრი უცემიათ, სათვალეები ჩაუმტვრევიათ და მერე თხრილში ჩაუგდიათ.

ამ საქმის თაობაზე, ქალაქიდამ პროკურორის თანაშემწე არისგაგზავნილი.

* * *

ქალაქის მახლობლად, კახეთის გზისაკენ დიდი ავაზაკობაა თურმე; ვიღაც ავაზაკ თათარს, რომელიც სახალინის კუნძულიდამ, როგორც გვითხრეს, გამოიქცა და ქვევითათ ჩამოვიდა აქაო, ორმოცი ამხანაგი შეუკრებია და გამვლელ-გამომვლელს ეცემაო და სცარცვავსო.

* * *

ბორჯომის ხეობაში, მტკვარში, ერთი მკვდარი ოსი უნახავთ ამას წინათ, რომელიც ტომარაში გაეხვიათ ავაზაკებს და ისე ჩაეგდოთ წყალშიო.

* * *

ერთს საძაგელ ამბავს გვწერენ სურამიდამ, რომლის თაობაზე ამ ჟამად, როგორც ამბობენ, საქმეა შედგენილი: ერთს თითქმის მოხუცებულ აზნაურიშვილს—ს. ქ—ს 10 წლის ქალი გაუფუჭებია ასე, რომ ეს ქალი ავათ გამხდარა და ახლა ქალაქის საავათმყოფოში სწევს თურმე.

* * *

პიატიგორსკიდამ გვწერენ, რომ ამ თვის პირველს გახსნილა იქ კურსი, მაგრამ ჯერ აქ ძალიან ცოტა ხალხი არისო.

## წერილი რედაქტორთან.

—

უფ. რედაქტორო!

„დროების“ 42 № არის დაბეჭდილი კორრესპონდენცია მეკენჭისა ქუთაისის ბანკის საზოგადოების სხდომაზე 24 აპრილს.

იმ კორრესპონდენციაში რაც ჩემზე არის ნათქვამი, სულ შეცდომით არის. მაგ: ვითომც მე ჯერ სკამზე და მერე სტოლზე სიტყვის სათქმელად შევდექი და მერე ჩამამაგდეს. ასე კი არ იყო:

მე არა ვსცნობდი თ. აბაშიძეს საზოგადოების თავს-მჯდომარეთ, რადგან ის არ იყო ამორჩეული არც აზნაურობის კრებისაგან 1873 წელს, როცა კომმისიის წევრათ ამოირჩიეს. და არც თვით კომმისიის კანონიერად და არც ახალი საზოგადოებისაგან. ამისთვის სიების წაკითხვას იმის თავსმჯდომარეობის ქვეშ მე ვრაცხდი უკანონოთ და როცა შევდექი სკამზე სიებით ხელში, როგორც სხვა თვითოეულმა კომმისიის წევრმა ქნა, მისთვის რომ ის დაენახოთ და შესძლებოდეს საზოგადოებას მისი ხმის გაგონება, მე მოვსთხოვე აბაშიძეს სიტყვის თქმის ნება და როცა მომცა ხმა, მე მივიქეცი კრებასთან შემდეგის სიტყვებით:

„მე მინდა ორიოდე სიტყვა მოვახსენო კრებას მისთვის, რომა ჩვენგან დაწყებული კეთილი საქმე იქმნეს დაფუძნებული კანონზე და სიმართლეზე, რადგან, წინაამდეგ შემთხვევაში, საკმაო იქნება ერთი და ორი ვინგინდარა კაცის საჩივარი, რომ ალშენებული საქმე დაიფუშოს.—ამისთანა კაცები კი საზოგადოებაში არასოდეს არ გამოილევიან. მე გთხოვთ, რომ ჩემი სიტყვები ბოლომდის მოისმინოთ მშვიდათ და მყუდროებით. თუ გინდა კიდეც არ მოგეწონოთ, პირს მაინც ნუ ამიკრავთ წინ-და-წინ, არამედ რომ გავათავო, ვისაც სურს წინაალმდეგის თქმა, გამოვიდეს ტრიბუნაზე, რამდენიც უნდა იქნეს კაცი, და ერთი მეორეზე შებაასოს მუხლა-მუხლად. თუ ჩემი სიტყვები კანონიერი და საფუძვლიანი დარჩენ, მაშინ კრებამ გინდ მიიღოს ესენი, გინდ ნუ მიიღებენ. ეს სრული მისი უფლება არის; მხოლოდ მე ჩემს ვალს მოვიხდი და სინიდისს გავიწმენდ.

ამ დროს ერთმა ვინმემ დაიძახა:

— რაზე გინდა ილაპარაკო?

მე ვსთქვი, რომ თუ წინ-და-წინ გინდათ გაგება, პრედსედატელზე და მერე სხვაზედაც. მაშინ ასტყდა ძახილი ერთის მხრისაგან, რომ „არ გვინდა სიტყვა, სიები წაიკითხეო“ და მეორეს მხრიდგან, რომ „ჯერ სთქვი რაც სათქმელია და მერე სიები წაიკითხეო.“

რადგან ამ ყვირილში არც ლაპარაკი და არც წაკითხვა არ შეიძლებოდა, მე ვიყავი გაჩერებული სკამზე, მაგრამ ხალხი იწევდა სულ წინ და მოაწვა კომმისიის სტოლს. მაშინ თ. აბაშიძემ დახშო სხდომა და კომმისიის წევრები გავიდენ სტოლს გარეშე, მე კი რადგან ნაპირზე ვიყავი, ბოლოს მოვრჩი და სანამ მეც გავყვებოდი მათ უკან, სტოლს რგვლიული უქნეს, მოაწვენ და მიახალეს კედელზე. ამიტომ მე იძულებული შევიქენი, რომ ზედ შევმხდარიყავ სტოლზე, თუ არა სტოლსა და კედელს შუა მოვეტანევოდი.

იქ გამაჩერეს ორი-სამი მინუტი; ზოგი თხოულობდა სიების წაკითხვას, ზოგი სიტყვის თქმას.

მე ვსთქვი, რომ სხდომა დახშული არის და ეგენი არცერთი არ იქნება კანონიერი მეთქი; მარა გამგონე ვინ იყო ამისი! ამდროს სტოლზე შამოხტა ერთი მეგრელთაგანი და გაჩერდა: ჩემთვის ხელი არ მოუხვევია. იმას დაუძახეს, რომ ჩაძრდი სტოლიდგანო და მასთანვე ხელიც წაავლეს და ჩამოაგდეს. იქეთ, საითაც ის გადაითრიეს, ხალხმა ჯგუფი ქნა და მეორე მხარეზე შეთხელდა და კარებიც გამოჩნდა. ამით მე ვისარგებლე და იქეთ გადავხტი; მაგრამ კარებთან რომ მივაწიე, მიქნეს მეც რგვლიული ერთის მხრით რაჭველებმა, ლეჩხუმლებმა და იმერლებმა, რომელთაც მოინდომეს გარეთ გაცილება ჩემი და მეორეს მხრით მეგრელებმა და ორმა გურულმა, რომელნიც არ მიშვებდნენ გარეთ და მეუბნებოდენ, რომ სიები ნუ მიგაქვსო. იმათ ეგონათ, რომ მე სიების წაკითხვაზე სულ უარი ვსთქვი და საზოგადოებიდგან გავდივარ. ისინი უკან იდგენ და კიდეც არ არ იცოდენ სხდომის დახშვა პრედსედატელისაგან.

ამ ხაცა-ხუცში მე ერთმა მეგრელთაგანმა სიები გამამგლიჯა ხელიდამ და დაიძახა: „აქ მაქვს სიები“ და მაშინვე მეგრელები სულ მამშორდენ და ის ჩემი სიები წარუდგინეს პრედსედატელს.

ამასთანავე უნდა დავსძნო, რომ კრების თავს-მჯდომარეს მოუვიდა ორას ერთი შავი კენჭი და არა ას-ერთი, როგორც დაბეჭდილი არის „დროებაში.“

დავ. ბ.ქრაძე

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ბათუმი, მაისის 7-ს

ოლთისის გუბერნიის პრავინციებიდგან: შავშეთლებმა, არდანუჯლებმა, არტანელებმა და სხვა და სხვა სოფლებიდგან ხალხმა ამ მოკლე ხანში რამოდენიმეჯერ მოახდინეს ყრილობა და რჩევა ახლანდელ მათ გაჭირვებული მდგომარეობის თაობაზედ. ყრილობამ ამოარჩია ერთმანეთ შორის შვიდი კაცი დეპუტატი სრული რწმუნებით, რომ მათი მდგომარეობა მმართებლობის ყურამდე მიაღწევინონ.

რასაკვირველია, ამ შვიდმა კაცმა დაწვრილებით აღწერეს ყოველივე შევიწროებული მათი მდგომარეობა და წასულს თვეში გამოემგზავრნენ არდანუჯიდგან და წავიდნენ ახალი გზით არტვინს იმ განზრახვით, რომ არტვინიდგან ტელეგრამმა უნდა გაეგზავნათ ეზრომს, და თუ იქიდგან პასუხს ვერ მიიღებდნენ, მერმე რამე გზით სტამბოლს უნდა მიმართულიყვნენ.

ხარხანს, სადაც არდანუჯის მდინარე და ჭოროხი შეიყრებიან, არტვინიდგან საათ ნახევრის სავალზე, იქ, საცა გზა მოუხვევს არტვინისაკენ, დახვდა ამ დეპუტატთ რამოდენიმე კაცი, ვითომ ავაზაკები, და ესროლეს თოფი იმათ, რომელთაც ხალხის ბეჭედ-დასმული ქაღალდი ჰქონდათ უბეში და მათ შორის მოთავე იყვნენ და ორივე მძიმეთ დასჭრეს; შემდეგ მიცვივდნენ იმ წამსვე და ქაღალდები უბიდგან ამოგლიჯეს და წაიღეს. სხვები, რასაკვირველია, მსწრაფლად გაიქცნენ და თავს უშველეს.

ამაზედ, ამბობენ, რომ ხალხი დიდათ აღშფოთებული არისო.

თუმცა მეორე პარტია მსგავსი დეპუტატებისა არტანის, ოლთისის და სხვა პრავინციებიდგან წავიდნენ იმ დროსვე ეზრუმს, მაგრამ იმათაც მსგავსი ბედი შეემთხვათ: გზაში ყველანი გაკარცვეს, და მოვიდნენ შინ დაღონებული და მტირალი.

მირქორ მესროფ-ოღლი

# ნარევი

დაპირებისამებრ, ვბეჭდავთ ქობულეთიდამ მილებულის რვეულიდამ ორს ლექსს:

—

სამტყვეოში გამოთქმული ქობულეთელის ასლან მესხიძის მიერ 1869 წ.

—

გამჩენია ჩვენი მხსნელი, მან თუ
მოგვცა ბედის წერა,
ჩვენით ხომ არ დაგვმართია, ასთე
იყო შუბლზედ წერა.
რაც ქობულეთს საქმე იქნა, ალიებ-
მა ჩვენზედ სწერა.
დაგვიჭირეს ფირალები, ქვეყანას დაე-
ბა ენა.

—

ტყეში ნადირს ეშინია, გზაში ვერ
გაიარს მელა;
ქვეყანაც წელში გასწყვიტეს, საქმიე-
ბის იქნა ფენა.
ქობლეთისა მოსამართლენს ახლა
დაგვმართენ ბელა:
სამტყვეოში შეგვიყვანეს, ყოველ ღამე
გვაქვს ჭამა-ლხენა.

—

ვაჟ-კაცისათვის ხეედრია სამტყვეო
და ფეხზე რკინა.
რას უყურებ თამაზის-შვილს, ოქრო-
ები აქვს ერთ პინა (ფუთი)
ხვანთქარისა წყალობითა გადიჭედა
გულზე ქილა.
სამტყვეოის ვაჟკაცები სულ ერთო-
ბითა მარდია,

—

ერთმანერთს ტუჩში კოცნიან, რო-
გორც გაშლილი ვარდია!
ქობლეთს მოსლა გვწადია, თუ წა-
მოგვესწრა მარტია.
შეგვეყრებით ვიწრო გზაში, ალარც
ჩვენ გიქნათ ხათრია;
რა უნდოდენ თავდგირიძნებს? პალამ
საფლავში ჩავგდია!

—

ჩვენი ჩამომკიდე კაცი მუთესერი-
ფი ვალია (ფაშა),
ხვანთქრიდგან ბრძანება არის, ქობ-
ლეთი გახთა ასეა,
ბინბაშს წიგნი მოაწერეს, ჯარი გაგ-
ზავნე არშია.
გააგზავნა მამუდ-ალა, ერთობით ხალ-
ხი ავგწია.

—

ფირალებმაც შევუთვალეთ: ბა-
თომს გავხდებით ხაფსია (მტყვე)
ოსმიანობა თუ იქნა, მაშინ ვიქმნე-
ბით ხასია,
შვიდი პარტია ფირალის ხომ არ ით-
ქმება ფასია,
სულეიმან*) თუ ჩვენ გვწყალობს, მა-
ლე გაგვიყვანს კარშია.

*) სულეიმან-ალა სამებაშ ოღლი არის ჟანდარმის ბატალიონის კომანდირი.

ღმერთმაც მისცეს ფაშიობა, ხელში
ეჭიროს ყარ'ია,
მოსამსახურეთ ვიახლოთ, სულ ქო-
ბლეთელი კაცია.

—

ქობლეთელი ასლან მესხიძის მიერ მიწერილი თავის საყვარლისადმი. 1865 წ.

ფუხარა *) ვარ საცოდავი, არ მაც-
ვია ფეხზე წინდა,
სელამ ქელამს მოგახსენებ, ჩაკვან-
წული წელში წმინდა;
თავის დღეში ვარ ფირალი, დავიარე-
ბი ღამითა.
მე შენთანა მშვენიერი არც დამიბა-
ხავს თვალითა,
კი ვიცი ტყულათ ვერ გიშოვ, უნდა
გიყიდო ფარითა.

—

ქალისაგან პასუხი

—

ვაი მაგი რა მითხარი, ბრიყვი ყო-
ფილხარ აბდალი,
ან კი ხარ მჯავრით შეშლილი, ან
ღვინო-არყით დამთრალი,
ფეშკეში ბრევლი მაძლიეს, თითო
საკაბე ფართალი:
ყველას იგი მირჩევნია, სული რომ
დამაქ მართალი.

*) ღარიბი.

# განცხადებანი

## LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იმეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი.

—

## pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156—33



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებული მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეობითს ქინო-ლგიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობისმცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს



ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. ძლეიჩინსკისა და ნიბართვა აქვს მოსკოვია საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვისაექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება, საკვირვლათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ჭუჭყელ გვარ ქერქმს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

—

## პ ო მ ა დ ა
## „PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამომგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სეგალთან და სტავროპოლში კურილ-



ჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა. ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულს სიშავე სრულიად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პამადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი ძლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის



მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა



ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.

ხ ე ლ ი ს პ ა მ ა დ ა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის სალებავი—ათი მინუტის განმაცლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—17

| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—ოთხშაბათს, დილით.
ოდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა: | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 14 მაისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | - |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 226 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 217 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%) | 86 | 75 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკასის და მერკურის | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 18 მ ისს | | |
| პური შოთაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი | — | 55 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 70 |
| სპირტი, ვედრო | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 60 |
| —ფხვნილი ფუთი | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი ფუთი | 22 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო 1/2 იმპერიალი | 6 | 10 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Мая 1876 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი·